საქართველოს მთავრობის

განკარგულება №112

2013 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა, მოსარგებლეთა ან/და ფაქტობრივ მფლობელთა მონაცემთა ბაზის შექმნა;

ბ) შემუშავებულ მონაცემთა ბაზიდან უზრუნველყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის იმ პირთა მონაცემების მიწოდება, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 1.25 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

2. ეთხოვოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, შეიმუშაოს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, შეუთანხმოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს და უზრუნველყოს პროექტის განახორციელება.

3. ეთხოვოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს დააფინანსოს ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

4. ეთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, უზრუნველყონ ამ განკარგულებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში მოსარგებლეთათვის სარგებლის გადაცემის და განაღდებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ბ. ივანიშვილი**